ახალგაზრდა მეცნიერები
პლანეტის უკეთესი მომავლისთვის

YOUNG SCIENTISTS
FOR THE BETTER FUTURE OF THE PLANET

პანელური დისკუსია

ევროპული ინტეგრაცია სწავლებასა და კვლევაში

15 ივნისი, 2024

15 ივნისი, 14:00 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, G 106 აუდიტორია, გ. წერეთლის ქ. N1

პანელური განხილვის შეხვედრების დღის წესრიგი: ერთობლივი სადოქტორო პროგრამები და საერთაშორისო კვლევითი ცენტრები საქართველოში მეცნიერების ინტერნაციონალიზაციისათვის.

პანელის დანიშნულება: პანელის მონაწილეები დაინტერესებულ საზოგადოებას გააცნობენ კლიმატის დაჩქარებული გლობალური ცვლილებების შედეგად წარმოქმნილი საფრთხეების შეფასებას, გაიმართება დისკუსია გამოწვევების ეფექტურად გადასაჭრელი გზების თაობაზე, მათ შორის საერთაშორისო კოლაბორაციული პროექტებისა და ცენტრების აუცილებლობაზე.

მოდერატორი: დავით თარხნიშვილი — *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*

პანელის მონაწილეები:

- ნინო დობორჯგინიძე, *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი*
- ბერნარდ მიზოფი, *ლაიბნიცის ბიომრავალფეროვნების ცვლილების შემსწავლელი ინსტიტუტისა და კოენიგის მუზეუმის გენერალური დირექტორი (ბონი, გერმანია)*
- კარლო ამირგულაშვილი, *საქართველოს გარემოს დაცვისა და სასოფლო მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და ტყის დეპარტამენტის უფროსი*
- მიხეილ ელაშვილი, *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*
- ლევან ტიელიძე, *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*
- ნილს ჰეინი, *CaBol პროექტის კოორდინატორი*
- ნინო პატარაია, *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*
- მიხეილ ელაშვილი, *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*
- ანკა დანი, *სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრი (CNRS), École Normale Supérieure (პარიზი, საფრანგეთი)*

ხანგრძლივობა: 90 წუთი

თემის მოკლე მიმოხილვა: საქართველოს ინტეგრაცია ევროპულ სასწავლო და კვლევით ქსელებში ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვან აქცენტს წარმოადგენს ქვეყნისთვის. განათლებისა და კვლევის სისტემების ევროპულ სტანდარტებსა და პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოსაყვანად ქვეყანამ უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად, სტუდენტებისა და პერსონალის მობილობის ხელშეწყობისა და კვლევის შესაძლებლობათა გასაძლიერებლად სხვადასხვა რეფორმა განახორციელა. ქართულმა უნივერსიტეტებმა და კვლევითმა ინსტიტუტებმა ევროპელ კოლეგებთან დაამყარეს პარტნიორობა და თანამშრომლობა, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის გაცვლას, ერთობლივ კვლევით საქმიანობასა და შესაძლებლობათა განვითარების ინიციატივებს.

მიზნები: ღონისძიებაზე ილიაუნის საერთაშორისო სადოქტორო სკოლა, ფოლკსვაგენისა და ლაიბნიცის ფონდები, ბონისა და ჰამბურგის ლაიბნიცის ბიომრავალფეროვნების კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლები ფართო საზოგადოებას წარუდგენენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფუძნებულ ორ მნიშვნელოვან კვლევით ერთეულს:

- კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლა
- ლაიბნიცის ბიომრავალფეროვნების ცვლილებების შემსწავლელი ქართულ-გერმანული სამეცნიერო ინსტიტუტი

2023 წლის 13 ივლისს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარებულ პანელურ დისკუსიაზე გერმანიის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საპარლამენტო მდივანმა, დოქტორმა იენს ბრანდენბურგმა ისაუბრა საერთაშორისო თანამშრომლობისა და ეკოლოგიური და ბიომრავალფეროვნების კვლევების მიმართულებით საუნივერსიტეტო განათლების მნიშვნელობაზე და ხაზი გაუსვა შესაბამისი კვლევების გაძლიერების აუცილებლობას საქართველოში, როგორც ბიომრავალფეროვნების ცხელ წერტილში.

ქართველ, ევროპელ და სამხრეთ კავკასიის რეგიონის კოლეგებთან ერთად ილიაუნის პროფესორები წარადგენენ იმ კოლაბორაციულ პროექტებს, რომლებიც წინ უძღოდა ორივე სტრუქტურული ერთეულის დაარსებას.

კერძოდ, კავკასიის სიცოცხლის ბარკოდირების პროექტი (CaBol), რომელიც დაფინანსებული იყო გერმანიის განათლებისა და კვლევის ფედერალური სამინისტროს (BMBF) მიერ და მისი მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 3 მილიონ ევროს. ასევე კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საერთაშორისო პროექტები, განხორციელებული კიოლნის უნივერსიტეტის გეოგრაფიის ინსტიტუტთან, გერმანიის არქეოლოგიურ ინსტიტუტთან, ლაიფციგის უნივერსიტეტის გეოგრაფიის ინსტიტუტსა და სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად.

პანელურ დისკუსიაში ასევე ჩაერთვება მეორე დიდი საერთაშორისო კონსორციუმი „კავკასიის გზაჯვარედინის ბირთვი-კლიმატის ცვლილება და კულტურული კავშირები" (Caucasus Crossroads Core – Climate Change and Culture Connections (7C), რომელიც გეგმავს სამხრეთ კავკასიის რეგიონში, საქართველოში, გვიანი ჰოლოცენის პერიოდში დაცული კლიმატის, გარემოსდაცვითი, არქეოლოგიური და ისტორიული არქივებიდან რეკონსტრუირებული მონაცემების ინტეგრირებით განახორციელოს მაღალი იმპაქტის პირველი ინტერდისციპლინური ანალიზი, ცენტრალურ ევრაზიასა და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონის წინაინსტრუმენტული ისტორიული კლიმატის ცვლილებისა და ადამიანის მაკროეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციების კვლევა.

14:00 — 14:20 შესავალი

ნინო დობორჯგინიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისასალმებელი გამოსვლები

საპატიო სტუმრები

14:20 — 14:40 კავკასიის ბიომრავალფეროვნების კვლევა

ბერნარდ მიზოფი/ნილს ჰეინი
ლაიბნიცის ბიომრავალფეროვნების ცვლილების შემსწავლელი ინსტიტუტი

თემა: მსოფლიო ბიომრავალფეროვნების გლობალური ანგარიშის მიხედვით, ბიომრავალფეროვნების შემცირება ძლიერდება, რაც საფრთხეს უქმნის მსოფლიო ეკოსისტემას. კავკასიის რეგიონი ერთ-ერთი აღიარებული ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილია, რომელსაც ახასიათებს განსაკუთრებით მაღალი სახეობების მრავალფეროვნება და მრავალი რეფუგიუმის არსებობა. რელიქტური და ენდემური სახეობების წილი აქ განსაკუთრებით მაღალია და, ამავდროულად, ბუნებრივი ეკოსისტემები ნაკლებადაა სახეცვლილი ევროპის უდიდეს ნაწილთან შედარებით. გერმანულ-ქართული ერთობლივი ინიციატივა მიზნად ისახავს განავითაროს საერთაშორისო კვლევითი ცენტრი, რომელშიც კავკასიის ცხელი წერტილის ბიომრავალფეროვნება შეისწავლება უახლესი ტექნოლოგიებისა და საუკეთესო საერთაშორისო ექსპერტიზის ჩართვით.

14:40 — 15:00 სწავლების ინტერნაციონალიზაცია

ნინო პატარაია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თემა: კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლა ცენტრალური (ფაკულტეტთაშორისი) ერთეულია, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი აკადემიური ხარისხის საერთაშორისო სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამების განხორციელებას პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის კოტუტელის პრინციპზე დაფუძნებული ინდივიდუალური ხელშეკრულებების გაფორმების საშუალებით. პროგრამის წარმატება და მნიშვნელობა.

15:00 — 15:20 კავკასიის გზაჯვარედინის ბირთვი - კლიმატის ცვლილება და კულტურული კავშირები

მიხეილ ელაშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანკა დანი
სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრი (CNRS), École Normale Supérieure-ში (პარიზი, საფრანგეთი)

თემა: რატომ კავკასია? — ევრაზიული ისტორიული ცივილიზაციების გზაჯვარედინზეა და აქვს უმდიდრესი გლობალური, ისტორიული მეტალურგიული ჩანაწერები. რეგიონს აქვს პალეოკლიმატისა და გარემოსდაცვითი ჩანაწერების უნიკალური და აღდგენილი მრავალფეროვნება (მაგ. ყინულის ბირთვები, ტორფის ჭაობები, ტბისა და მდინარის ნალექის ჩანაწერები) და მასთან დაკავშირებული არქეოლოგიური ნაშთები.

15:20 — 15:40 კავკასიონის ჰოლოცენის პერიოდის გამყინვარება - კლიმატის რეკონსტრუქცია

ლევან ტიელიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თემა: მყინვარები თანამედროვე კლიმატის ცვლილების კარგი ინდიკატორია, რომელიც გლობალურ დათბობას ნათლად აისახავს. მყინვარების როლი მტკნარი წყლის ხელმისაწვდომობაში განმსაზღვრელია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. მომავალი გლობალური დათბობის პირობებში ეს პროცესი კიდევ უფრო მწვავე გახდება. შესაბამისად, გლობალური დათბობის პერსპექტივაში დაყენება მოითხოვს წარსულში კლიმატის ევოლუციის ღრმა გაგებას, როგორც შესაძლო ფანჯარას მომავალი კლიმატის ცვლილებების დადგენის საქმეში.

15:40 — 16:00 პანელური დისკუსია და კითხვა-პასუხი
აუდიტორიის ჩართვა ინტერაქტიულ დისკუსიაში

მოდერატორი, პანელის მონაწილეები და აუდიტორია

16:00 — 16:30 დასკვნითი შენიშვნები — ძირითადი რეკომენდაციები
დაინტერესებული მხარეებისათვის

მოდერატორი და პანელის მონაწილეები

ILIA STATE UNIVERSITY

ახალგაზრდა მეცნიერები
პლანეტის უკეთესი მომავლისთვის

YOUNG SCIENTISTS
FOR THE BETTER FUTURE OF THE PLANET